კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება თავდაცვისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორში

საინფორმაციო ბიულეტენი
#14 - გაზაფხული 2022

სარჩევი

1. რედაქტორისაგან 1
2. ინტერვიუ ბრიგადის გენერალთან, აჰმიჩთან 3
3. კოლუმბია: ექსპერტ-შემფასებელთა ვიზიტი 8
4. ერაყი: სტრატეგიული სწავლებისა და კვლევების ცენტრისთვის განკუთვნილი ვიდეო კონფერენცია ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების შესახებ 10
5. მავრიტანია: ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების გაცნობითი მიმოხილვა 10
6. ტუნისი: ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლებაზე ორიენტირებული ყოველწლიური სამუშაო პროგრამის შესრულების გაგრძელება 11
7. აშშ: ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრმა მონაწილეობა მიიღო უსაფრთხოების სექტორში მმართველობის თაობაზე მოსაზრებათა ურთიერთგაცვლის პროცესში 13
8. კეთილსინდისიერების ამაღლება ოპერაციების მიმდინარეობისას: ლექცია ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების თემაზე ერაყში ნატოს მისიის განთავსებამდე პერიოდში ჩატარებული ტრენინგების ფარგლებში 13
9. კეთილსინდისიერების ამაღლების დისციპლინა: 2022 წლის დისციპლინათა ყოველწლიური ფორუმი და 2022 წლის კეთილსინდისიერების ამაღლების მოთხოვნათა შეფასების სამუშაო შეხვედრა 14
10. ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების შესახებ ლექცია 2021-2022 აკადემიური წლის სასწავლო სესიის ფარგლებში იტალიის უმაღლესი თავდაცვის სწავლების ცენტრში 15
11. ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრის მონაწილეობა 2022 წლის სამხედრო სტრატეგიული პარტნიორობის კონფერენციაში 15
12. ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრმა დაიწყო კეთილ-სინდისიერების განვითარება-მსუბუქი იარაღისა და მცირე შეიარაღების პროექტის შესრულება სარაევოში, ბოსნია და ჰერცოგოვინა 16
13. გამოცემები კეთილსინდისიერების ამაღლების სფეროში 18
14. ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების სფეროში მომავალი ღონისძიებები 19

სარედაქციო წერილი

2022 წლის 28-30 ივნისის ნატოს წევრ-სახელმწიფოთა მეთაურებისა მადრიდის სამიტის ჩატარებამდე, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრი, ჩვენს პარტნიორებთან ერთად, აგრძელებს თავდაცვისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორში კარგი მმართველობისა და კეთილსინდისიერების გაძლიერების ალიანსის დღის წესრიგში თავისი წვლილის შეტანას. მიმდინარე წლის გაზაფხულის სიახლეების გამოცემაში, თქვენ გაეცნობით კეთილსინდისიერების ამაღლების ბოლოდროინდელი მიღწევების შესახებ მიმოხილვას.

უმთავრესად აღსანიშნავია ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ 2020-2021 წლების პერიოდში კეთილსინდისიერების ამაღლების პოლიტიკის შესრულების პროგრესის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღება. სხვა ასპექტებთან ერთად, აღნიშნული პროგრესის ანგარიში მოიცავს არაერთ მიღებულ გადაწყვეტილებას მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში, მათ შორის მადრიდში ანგარიშის წარდგენას ნატოს წევრი-სახელმწიფოების მეთაურებისთვის, მისი ცნობად მიღების მიზნით. აღნიშნული წარმოადგენს მნიშვნელოვან პოლიტიკურ გზავნილსა და დადასტურებას ნატოს კარგი მმართველობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების მნიშვნელობის შესახებ მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში.

ამ კვარტლის პერიოდში, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების გუნდმა განახორციელა ექსპერტ-შემფასებელთა ვიზიტი კოლუმბიაში, თავდაცვის მინისტრის, მოლანოს ხელშეწყობით. აღნიშნული წარმოადგენს კოლუმბიის მიერ ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესში მონაწილეობის მეორე შემთხვევას, რითაც ადასტურებს კარგი მმართველობისა და კეთილსინდისიერების რეფორმების სფეროებში კოლუმბიის ეროვნული თავდაცვის სამინისტროსა და ნატოს შორის მჭიდრო თანამშრომლობას. სხვადასხვა ღონისძიებებს შორის, რომელიც განხორციელდა ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრის მიერ გასული კვარტლის პერიოდში, აღსანიშნავია ორი ახალი და განსაკუთრებით ინოვაციური ინიციატივა, რომელთაც მკითხველები გაეცნობიან გამოცემის მომდევნო გვერდებზე. პირველყოვლისა, ეს გახლავთ ,,ბოსნია და ჰერცოგოვინაში მსუბუქი იარაღისა და მცირე შეიარაღების, და შესაბამისი საბრძოლო მასალის ვარგისიანობის ციკლის მართვის პროცესში კარგი მმართველობის, ანგარიშვალდებულებისა და კორუფციის თავიდან აცილების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების, მიღებული გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკის'' პროექტის ოფიციალური დაწყება სარაევოში, თავდაცვის მინისტრის, დოქტორის სიფეტ პოდიჩის ხელშეწყობით. მეორე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს, საგანმანთლებლო, ექსპერტული მოსაზრებების ურთიერთგაცვლასთან დაკავშირებული ტურის დაწყება ტუნისის ეროვნული თავდაცვის სამინისტროსთვის, რომელიც ინიცირებული იქნა ბოსნია და ჰერცოგოვინას შეიარაღებული ძალების მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების სასწავლო ცენტრთან ერთად. აღნიშნული ექსპერტული შეფასებების ურთიერთგაცვლის ტური წარმოადგენს 2021 წელს შეთანხმებული ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრის მიერ უზრუნველყოფილ ტუნისთან თანამშრომლობის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილს. სარაევოსთან ჩვენი მჭიდრო და აქტიური თანამშრომლობის დასადასტურებლად, ჩვენთვის მისასალმებელია, რომ აღნიშნული საინფორმაციო ბიულეტენი ადგილს უთმობს ინტერვიუს ბოსნია და ჰერცოგოვინას შეიარაღებული ძალების ინსპექტორთან, ბრიგადის გენერალთან მირსად აჰმიჩთან.

ეს კვარტალი ასევე გამოირჩეოდა ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების დისციპლინის განგრძობადობითაც. ჩვენ, კეთილსინდისიერების ამაღლების დისციპლინის მოთხოვნების დამდგენი ორგანოს კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობა მივიღეთ სამოკავშირეო სამეთაუროს ტრანსფორმაციის მიერ ორგანიზებულ პირველ ყოველწლიურ დისციპლინათა ფორუმში, რომელმაც თავი მოუყარა მოთხოვნების დამდგენ ორგანოებსა და ნატოს 28 დაფუძნებული საგანმანათლებლო დისციპლინის დეპარტამენტების ხელმძღვანელებს. ჩვენ ასევე ჩავატარეთ ყოველწლიური კეთილსინდისიერების ამაღლების მოთხოვნების ექსპერტული შეფასების სამუშაო შეხვედრა ფართო აუდიტორიისათვის, რომელიც პირველად მოიცავდა კოლუმბიელ წარმომადგენლებსაც კი, ისევე როგორც მონაწილეებს უკრაინიდან.

ჩვენი სარედაქციო უფლებამოსილების ფარგლებში, ასევე მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ ჩვენ 2022 წლის 7-9 დეკემბერს, ბრიუსელში ჩავატარებთ ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების კონფერენციას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნის პარალელურად. ამ სულისკვეთებით, ვუსურვებთ ჩვენს მკითხველს მომდევნო გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის საინტერესო გაცნობას!

ინტერვიუ

ინტერვიუ ბრიგადის გენერალ აჰმიჩთან

ბრიგადის გენერალი მირსად აჰმიჩი, ბოსნია და ჰერცოგოვინას შეიარაღებული ძალების გენერალური ინსპექტორი

ბრიგადის გენერალო აჰმიჩ, უკვე ათწლეულზე მეტია, რაც ბოსნია და ჰერცოგოვინა აქტიურად მონაწილეობს ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესში. თქვენ, ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტროს მიერ მიმართული ამ ძალისხმევის წინა ხაზზე ხართ. თქვენი აზრით, რა გავლენა აქვს ამ პროცესებს სამინისტროს გადმოსახედიდან?

ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტრო ბოლო ათი წელია აქტიურად მონაწილეობს კეთილსინდისიერების ამაღლებასთან დაკავშირებულ პროცესებსა და არაერთი აქტივობის განხორციელებაში, და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებაში. ფაქტიურად, თავდაცვის რეფორმამ, რომელიც გამოიხატა ბოსნია და ჰერცოგოვინის თავდაცვის შესახებ და სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ კანონების მიღებაში და ბოსნია და ჰერცოგოვინას გაერთიანებული შეიარაღებული ძალების დაარსებაში 2006 წელს, ხელი შეუწყო ამ საკითხების გადაწყვეტის ძალიან მნიშვნელოვანი კონცეპტუალური, ნორმატიული და ორგანიზაციული წინაპირობების შემუშავებას. ამ საკითხებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თავდაცვის შესახებ ბოსნია და ჰერცოგოვინას კანონმა ხაზი გაუსვა კეთილსინდისიერების მნიშვნელობას და თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, როგორც ამ უწყების ორგანიზაციულ დანაყოფს, დააკისრა პასუხისმგებლობა კოორდინაცია გაუწიოს კეთილსინდისიერების ამაღლების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებსა და აქტივობებთან დაკავშირებულ ძალისხმევას.

შესაბამისი ნორმატიული, კონცეპტუალური და სამოქმედო დოკუმენტების შემუშავებისა და მუდმივი განახლების; ასევე საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებისა და ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებისათვის განგრძობადი ტრენინგების ჩატარების მეშვეობით ძალისხმევა მიემართება რესურსების შესაძლო არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევებისა და კორუფციის რისკის შემცირებისკენ. ჩემთვის ძალზედ სასიხარულოა იმის აღნიშვნა, რომ კორუფციის რისკის მხედველობაში მიღებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში ნებისმიერი რეგულაციის ამოქმედებისა თუ განახლებისას. რეგულაციების ანალიზი მიმდინარეობს მუდმივად მათი ორაზროვანი შინაარსის, პრევენციული მექანიზმების ნაკლებობის, დადგენილი ვადების არასრულყოფილების, რეგულაციებსა და დებულებებში არსებული წინააღმდეგობების, პროცესის მონაწილეთა პასუხისმგებლობებისა და დაწესებული სანქციების ასპექტებთან დაკავშირებით.

კეთილსინდისიერების ამაღლებასთან დაკავშირებული თემატიკა შესულია რეგულარულ სწავლებებში, რომელიც ტარდება გენერალური ინსპექციის მიერ; ისევე როგორც კეთილსინდისიერების ამაღლების კურსებში, მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციების განმახორციელებელი დანაყოფებისათვის მათი მისიის ადგილას განთავსებამდე პერიოდში ჩასატარებელი ტრენინგების პროგრამაში, გაეროსა და ევროკავშირის ხელმძღვანელობით ჩვენი მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციების სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელებულ მისიებში. ამრიგად, ჩვენ მივისწრაფვით პრევენციული ღონისძიებების გატარებისკენ, კორუფციის რისკების შემცირების მიზნით.

რა თქმა უნდა, არარეალისტურია კორუფციის რიკის სრულად აღმოფხვრის მოლოდინი; გამომდინარე აქედან ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების, ისევე როგორც თავდაცვის სექტორის ფარგლებს გარეთ მომუშავე პირებს ეძლევათ შესაძლებლობა განაცხადონ ნებისმიერი კორუფციული ფაქტის თაობაზე. სხვადასხვა კომუნიკაციის არხია ხელმისაწვდომი, რომელთაგან ზოგიერთი უზრუნველყოფს მუდმივ კავშირს განმცხადებელსა და მოქმედ ინსპექტორს შორის, და მოთხოვნის შემთხვევაში მომჩივნის ვინაობის გამჟღავნებისაგან დაცვას. ამასთან, სავალდებულოა განმცხადებელთა/მომჩივანთა ინფორმირება ჩატარებული გამოძიების შედეგების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ცნობიერების ამაღლებასა და კომპლექსურ სისტემურ მიდგომებს კორუფციის რისკების შემცირების თვალსაზრისით. ამ მიზნით, ჩვენ ასევე ვთანამშრომლობთ სახელმწიფო უწყებასთან, რომელიც პასუხისმგებელია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების კოორდინაციაზე, ისევე, როგორც ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვისა და უსაფრთხოების ერთობლივ კომისიასთან, ბოსნია და ჰერცოგოვინას საპარლამენტო სამხედრო კომისართან და სამართალდამცავ ორგანოებთან. ჩვენ ვისწრაფვით წვლილი შევიტანოთ რეგიონალურ დონეზე კეთილსინდისიერების ამაღლების სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ინიციატივის განხორციელებაში.

და ბოლოს, ყველაზე დიდ მიღწევას წარმოადგენს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლების ალიანსის ინიციატივასთან მიერთება, რომელიც მონაწილე სახელმწიფო-

ებს პრაქტიკულ დახმარებას უწევს კეთილსინდისიერების ამაღლების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დამკვიდრებისა და კორუფციის რისკების შემცირების ღონისძიებების გატარებაში.

რთულია ჩვენი საქმიანობის შედეგებისა და მიღწევების შეფასება მიუკერძოებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე მე ძალიან ხშირად ვიყენებ გარე შეფასებებს, რომლის თანახმადაც, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით ჩენ სწორ გზაზე ვდგავართ. ყველაზე ნათელ დადასტურებას აღნიშნულისა წარმოადგენს ორგანიზაცია საერთაშორისო გამჭვირვალობის ყველაზე ბოლო შეფასება, რომლის მიხედვითაც ბოსნია და ჰერცოგოვინამ აჩვენა შესამჩნევი პროგრესი და მიკუთვნებული იქნა C ჯგუფისადმი - თავდაცვის სექტორში კორუფციის ზომიერი რისკი. წინა, 2015 წლის შეფასების შესაბამისად, ჩვენ გაერთიანებული ვიყავით D - ჯგუფში, რომელიც მოიცავს კორუფციის მაღალი რისკების მქონე ქვეყნებს, და შეფასების თანახმად ასევე შეინიშნება პროგრესი პოლიტიკური, ადამიანური და ფინანსური რისკების შემცირების თვალსაზრისით.

ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ექსპერტთა ჯგუფმა, ნატოს ბრიუსელის შტაბ-ბინის 2019 წლის თებერვლის კეთილსინდისიერების შესახებ ანგარიშზე დაყრდნობით, კმაყოფილება გამოხატა 2014 წლის შემდეგ ბოსნია და ჰერცოგოვინას პროგრესთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება მიღებული რეკომენდაციების შესრულებას. 30 რეკომენდაციიდან 26 უკვე შესრულებულია, სამი რეკომენდაციის შესრულებას განგრძობადი ხასიათი აქვს, ხოლო ერთი რეკომენდაციის შესრულება არ არის რელევანტური (მშვიდობის მხარდამჭერ ოპერაციებში შესყიდვების განხორციელება).

ამ სფეროში ასეთი წარმატება აღიარებულია არა მარტო ბოსნია და ჰერცოგოვინაში, არამედ ასევე საერთაშორისო ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების მიერ. აღნიშნული დასტურდება იმით, რომ ჩვენ აქტიურ მონაწილეობას ვღებულობთ კეთილსინდისიერების ამაღლებასთან დაკავშირებულ საერთაშირისო სასწავლო პროგრამებში, კონფერენციებში, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში, სადაც წარმოვადგენთ ჩვენს გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკას.

თუმცა აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ მიღებული ცოდნა და გამოცდილება ვერ მიაღწევდა ამ დონეს კეთილსინდისიერების ამაღლების, რისკების შემცირებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან გამორჩეული თანამშრომლობის გარეშე (ბოსნია და ჰერცოგოვინას საპარლამენტო ასამბლეის თავდაცვისა და უსაფრთხოების ერთობლივი კომისია, ბოსნია და ჰერცოგოვინას საპარლამენტო სამხედრო კომისარი, სამართალდამცავი ორგანოები, ნატო, ევროკავშირის ძალები, თავდაცვის სექტორში კეთილსინდისიერების ცენტრში, გაეროს განვითარების პროგრამა, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა.....).

თქვენი გამოცდილებით, რა როლი შეუძლიათ ითამაშონ ლიდერებმა კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესის დასრულების პერიოდში, დაწყებული ნატოს კეთილსინდისიერების თვითშეფასებით და ექსპერტ-შემფასებელთა ვიზიტით? თქვენი აზრით, რა გამოწვევები და შესაძლებლობები ხვდება ლიდერს კეთილსინდისიერების ამაღლების პრინციპების პოპულარიზაციისა და კარგი მმართველობის განხორციელებისა და კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული რეფორმების გატარების პროცესში?

ჩვენ სრულად გვაქვს გაცნობიერებული, რომ კეთილსინდისიერების, პროფესიონალიზმისა და გამჭვირვალობის ნაკლებობა იწვევს უწესრიგობას, და შესაბამისად კორუფციას. ხსენებული რეფორმა თავდაცვის სფეროში, ისევე როგორც რეფორმები სხვა საზოგადოებრივ სფეროებში ბოსნია და ჰერცოგოვინაში, მოიცავს პროცესებს, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მიზნად ისახავს კეთილსინდისიერების ამაღლებას ინდივიდებსა და ინსტიტუციებში, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე და მთლიანად საზოგადოების მასშტაბით. შესაბამისად, დემოკრატიულ ღირებულებებს, კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებების პატივისცემას, რესურსების მიზნობრივ მართვასა და იმ უკანონო ქმედებებზე დროულ რეაგირებას, რომელთაც თან სდევთ კორუფცია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თავდაცვის მენეჯმენტი კომპლექსური პროცესია, რომელიც ვლინდება ადამიანური რესურსების მართვის, ბიუჯეტირების, თავდაცვის შესყიდვების, ისევე როგორც ჭარბი შეიარაღებისა და საბრძოლო მასალის, სამხედრო აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის სფეროებში. აღნიშნული გარემოებებისა და საკითხის სირთულის გათვალისწინებით, ლიდერები თამაშობდნენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს. ლიდერობა, ამ ტერმინის განმარტების შესაბამისად, კონკრეტულ სისტემაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესის განუყოფელი ნაწილია, რომელიც მოიცავს კეთილსინდისიერების განმტკიცებისაკენ და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასა და მისი პრევენციისაკენ მიმართული მექანიზმების დამკვიდრებასა და განვითარებას, ამ პროცესებში თავდაცვის სისტემის ყველა მონაწილის ჩართულობით.

ამრიგად, ეფექტური ლიდერები და ნათელი ხედვისა და ძლიერი სტრატეგიის არსებობა კეთილსინდისიერების გაძლიერების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე განაპირობებს არაერთი აქტივობის წარმატებულ განხორციელებას. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ძირითად შედეგებს, რომელიც მიღწეული იქნა ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტროს მიერ თავდაცვის სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლებასთან დაკავშირებული თვითშეფასების პროცესის დაწყებით და სტანდარტიზებულ კითხვარზე პასუხების მომზადებითა და ნატოს ბრიუსელის შტაბ-ბინისათვის გადაცემით. აღნიშნული პროცესის შემდგომ ეტაპებზე, ნატოს ბრიუსელის შტაბ-ბინის ექსპერტთა ჯგუფმა ბოსნია და ჰერცოგოვინაში განახორციელა ვიზიტი არაერთგზის და ჩაატარა ინტერვიუები ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ძირითად პერსონალთან, ისევე როგორც ბოსნია და ჰერცოგოვინას სხვა ინსტიტუციებისა და უწყებების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტროსა და ნატოს შტაბ-ბინის ერთობლივი მუშაობის შედეგს წარმოადგენს ნატოს კოლექტიური შეფასების ანგარიში -

,,კეთილსინდისიერების ამაღლების თვითშეფასების ექსპერტული შეფასების ანგარიში - ბოსნია და ჰერცოგოვინა,'' რომელიც ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის მინისტრს წარედგინა ნატოს გენერალური მდივნის პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში მრჩევლის მიერ. ანგარიშმა მიმოიხილა თავდაცვის სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლებისა და კორუფციის თავიდან აცილების სფეროში არსებული სიტუაციის ძლიერი მხარეები და გაითვალისწინა რეკომენდაციები სიტუაციის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით. როგორც შეფასების დასკვნით ნაწილში იქნა მითითებული, ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტრომ უნდა გააგრძელოს თანამშრომლობა ნატოს ბრიუსელისა და სარაევოს შტაბ-ბინებთან ექსპერტული შეფასების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით. 2019 წლის თებერვალში, ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტრომ წარმოადგინა ყოვლისმომცველი ანგარიში ნატოს გუნდის რეკომენდაციების საპასუხოდ, რომელიც ნათლად მიუთითებდა ამ რეკომენდაციების იმპლემენტაციის დონეს; ხოლო 2022 წელს ასევე სხვა ღონისძიებაა დაგეგმილი, რომელიც უკავშირდება მიღწეული შედეგების ეფექტურობის ერთობლივ განმეორებით შეფასებას.

ყველა აღნიშნული შედეგი, ასევე სხვა ღონისძიებები, რომელიც ტარდება, ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებთა სურვილისა და შემართების გარეშე. ასეთი განწყობის გარეშე, ვერ იარსებებს მოლოდინი კეთილსინდისიერების ამაღლების სფეროში ასეთი კონკრეტული და მიზანდასახული ქმედებების განხორციელებისა, ვინაიდან სხვაგვარად მათ საერთოდ არ ექნებოდათ ადგილი ან განხორციელდებოდა შერჩევითად. ამასთან, ჩვენ ასევე გავაცნობიერეთ, რომ შესაბამისი ცოდნა, უნარები და რეგულაციები წარმოადგენენ ისეთი კომპლექსური ხასიათის მქონე ფენომენის წინააღმდეგ, როგორიცაა კორუფცია, დისკრიმინაცია და სხვა ანომალიები, გასატარებელი ღონისძიებების ეფექტურობისა და აუცილებელი შედეგების მიღწევის წინაპირობებს. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ პროცესში ჩართული ყველა მონაწილის მიერ სისტემური სამოქმედო გეგმების დანერგვაში შესაბამისი წვლილის შეტანის გარეშე, კეთილსინდისიერების ამაღლების, კორუფციის წინააღმდეგ, დისკრიმინაციისა და სხვა ანომალიური მოვლენების წინააღდეგ ბრძოლის კომლექსური სისტემის ერთიანობა დაირღვეოდა, რაც გარდაუვალ ზეგავლენას იქონიებდა მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ეფექტურობაზე.

ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში არსებული კარგი პრაქტიკის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ჩვენს მიერ დანერგილი პრაქტიკა, რომლის თანახმადაც მაღალი რგოლის საჯარო მოსამსახურეები, გენერლები და მეთაურები სტრატეგიულ დოკუმენტებზე მუშაობის პერიოდში ხელმძღვანელობენ სხვადასხვა ფუნქციური სფეროებიდან დაკომპლექტებულ გუნდებს. ასეთი მიდგომებისა და ზემოაღნიშნული ფაქტორების წყალობით, რომლებიც არსებითად განაპირობებენ კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესს, ჩვენ უზრუნველვყავით ის, რომ დისკრიმინაციის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტროში მიღწეული შედეგები და არსებული კარგი პრაქტიკა, როგორც საქმიანობის ნიმუში, რომელიც არსებით როლს თამაშობს კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესში, გამოიყენება არა მხოლოდ ბოსნია და ჰერცოგოვინაში, არამედ ასევე რეგიონსა და მის საზღვრებს გარეთ.

ბოლო 10 წლის განმავლობაში, დამატებით ეროვნულ დონეზე ძალისხმევის განხორციელებასთან ერთად, ბოსნია და ჰერცოგოვინა აქტიურად თანამშრომლობს ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამასთან, მიღებული გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკის გაზიარების მეშვეობით. კერძოდ, თავდაცვის სამინისტრო აქტიურად უჭერს მხარს სხვა მონაწილე ქვეყნებში კეთილსინდისიერების ამაღლებასთან დაკავშირებული ძალისხმევის განხორციელებას და შესაბამის სფეროებში აზიარებს თავის გამოცდილებას. აღნიშნულის ბოლოდროინდელ მაგალითს წარმოადგენს სარაევოში ექსპერტული შეფასებების ურთიერთგაცვლა ბოსნია და ჰერცოგოვინას შეიარაღებული ძალების მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების სასწავლო ცენტრს, როგორც ერთ-ერთ ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების განხორციელების პარტნიორსა, და ტუნისის შეიარაღებულ ძალებს შორის (ამ ვიზიტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია კეთილსინდისიერების ამაღლების საინფორმაციო ბიულეტენის ამ გამოცემაში). როგორ განხორციელდა ხსენებული შეფასება? თქვენი აზრით, რა სარგებელი აქვს ბოსნია და ჰერცოგოვინას ჩართულობას თავისი კარგი პრაქტიკის გაზიარების პროცესში?

წინა შეკითხვაზე გაცემული პასუხი ფაქტიურად ამ საკითხზე მსჯელობის შესავალია. ჩვენ ნამდვილად მადლიერნი ვართ ნატოს ბრიუსელის შტაბ-ბინიდან ჩვენი კოლეგებისა, რომლებიც ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების მიერ გაწეულ ძალისხმევას იყენებდნენ როგორც ამ სფეროს კარგი პრაქტიკის მაგალითს. ერთობლივი აქტივობები, ერთმანეთთან ვიზიტები, ტრენინგები და თანამშრომლობის სხვა ფორმები განგრძობადი ხასიათისაა ჩვენი საქმიანობის ფარგლებში. საკმაოდ მრავალ ღონისძიებაზე ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ინსპექტორებმა და გენერალურმა ინსპექტორმა გააზიარეს მათი მუშაობის კარგი პრაქტიკა. ბოლო ორი თვის განმავლობაში, ჩვენი მიღწევები კეთილსინდისიერების ამაღლების სფეროში საზოგადოებას გავაცანით ბრიუსელის ნატოს შტაბ-ბინის მიერ ორგანიზებული სამი ღონისძიების ფარგლებში (ქალთა მშვიდობა და უსაფრთხოება, მსუბუქი იარაღი და მცირე შეიარაღება და კეთილსინდისიერების ტრენინგი) და ასევე მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე. ამასთან, გენერალური ინსპექტორი გეგმავს წარადგინოს პრეზენტაცია ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტროს კეთილსინდისიერების ამაღლების სფეროსთან დაკავშირებული კარგი პრაქტიკისა და მისი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციასთან კავშირის შესახებ, ღონისძიებაზე, რომელიც გაიმართება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებით.

ცოტა ხნის წინ ნატოს უპირობო აკრედიტაციის სერტიფიკატის მინიჭებით, მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციების სასწავლო ცენტრს

ნატოს სამოკავშირეო სამეთაურო ტრანსფორმაციამ განუახლა 2016 წლის მაისში მიღებული აკრედიტაცია, რომლის ექვს წლიანი მოქმედების ვადა ამოწურული იქნა. ცენტრი 2008 წლიდან ჩართულია კეთილსინდისიერების ამაღლების ინიციატივის პროცესში, პირველყოვლისა, როგორც ნატოს ხელმძღვანელობით მიმდინარე OF-5 დონის კურსების მასპინძელი, და ასევე, როგორც ამ სფეროში შესაძლებლობების განვითარების პლატფორმა. ამჟამად, ნატოს ბრიუსელის შტაბ-ბინის კეთილსინდისიერების ამაღლების ჯგუფის მხარდაჭერით, მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციების სასწავლო ცენტრი ახორციელებს კეთილსინდისიერების ამაღლების სფეროში საგანმანათლებლო პროგრამებსა და ტრენინგებს სარეზიდენტო კურსების ფორმით, ისევე როგორც ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ჯგუფის მიერ მხარდაჭერილი მობილური ტრენინგ-ჯგუფების მეშვეობით. უკანსაკნელი 11 წლის განმავლობაში, ხუთასზე მეტმა სტუდენტმა გაიარა კეთილსინდისიერების ამაღლების კურსები მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციების სასწავლო ცენტრში, რომელთაგან ნახევარზე მეტი წარმოადგენდა საერთაშორისო სტუდენტს ოცდაათზე მეტი სხვადასხვა ქვეყნიდან.

არა მხოლოდ საგანი და მსგავსი ღონისძიებებია სასარგებლო იმ ინსტიტუციებისა და მომხმარებლებისათვის, რომელთათვისაც ისინი განკუთვნილია, არამედ გვწამს, რომ აღნიშნული თანაბრად მნიშვნელოვანია ჩვენთვისაც, როგორც პრაქტიკის გაზიარებისა და ჩვენი სისტემის განვითარებისათვის. მაშასადამე ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ჯგუფის მიერ შემუშავებულ ურთიერთთანამშრომლობის ასეთი მიდგომებს უნდა მიეცეთ დასაბამი და გაგრძელებული უნდა იქნას ასევე მომავალში.

უკანასკნელ პერიოდში, ნატოს კეთილსინდისიერი განვითარების ცენტრმა დაიწყო ისეთი ყოვლისმომცველი საკითხების გამოკვლევა, როგორებიცაა გენდერული თანასწორობა და ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება, ისევე, როგორც მსუბუქი იარაღისა და მცირე შეიარაღების ვარგისიანობის ციკლის მენეჯმენტი. ამ პროცესში ბოსნია და ჰერცოგოვინას ძირითადი წვლილი შეაქვს, და აქტიურად აზიარებს თავის გამოცდილებასა და კარგ პრაქტიკას ორივე მიმართულებით (ამ საინფორმაციო ბიულეტენში ჩვენ გაგაცნობთ სიახლეებს კეთილსინდისიერების განვითარება-მსუბუქი იარაღისა და მცირე შეიარაღების ვარგისიანობის ციკლის მენეჯმენტის პროექტის შესახებ, რომლის განხორციელება დაიწყო 12 აპრილს). თქვენი აზრით, როგორ შეუძლია კეთილსინდისიერების ამაღლებამ ხელი შეუწყოს ქალთა მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის დანერგვასა და მსუბუქი იარაღისა და მცირე შეიარაღების ვარგისიანობის ციკლის მენეჯმენტის კარგი მმართველობის გაძლიერებას, და როგორი კავშირია ამ სფეროებს შორის და რამდენად აძლიერებენ ისინი ერთმანეთს?

წინა პასუხებში ჩვენ მივუთითეთ კეთილსინდისიერების მნიშვნელობასა და კომპლექსურობაზე, ისევე როგორც ამ საკითხისადმი ყოველმხრივი მიდგომების როლზე. კერძოდ, თუკი მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ისეთი საკითხები, როგორებიცაა კანონის უზენაესობა და სისტემაში თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, აღმოჩნდება, რომ ისინი მჭიდროდაა დაკავშირებული გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციით დაწესებულ მოთხოვნებთან და ზოგადად ,,ქალები, მშვიდობა და უსაფრთოხების" დღის წესრიგთან, მაგრამ ყველა იმ პროცესთან ერთობლიობაში, რომელიც ასევე უკავშირდება შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების ვარგისიანობის უზრუნველყოფას. რა თქმა უნდა, არ არსებობს ისეთი სისტემა, სადაც შეიძლება შეინიშნებოდეს ერთი რომელიმე პროცესი ან მოქმედება განცალკევებულად. დაფუძნების დღიდანვე, ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტრო და შეიარაღებული ძალები ძალისხმევას არ იშურებენ უზრუნველყონ თავიანთი ყველა წარმომადგენლისათვის თანაბარ შესაძლებლობებზე წვდომა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის, მათ შორის გენდერული დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც ბოსნია და ჰერცოგოვინას სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ კანონის 28-ე მუხლის (ერთი და იგივე შესაძლებლობები) შესაბამისად სამართლებრივ ვალდებულებას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესმა განსაკუთრებულად ინტენსიური ხასიათი მიიღო უკანასკნელი წლების განმავლობაში გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის იმპლემენტაციის პირველი და მოგვიანებით მეორე და მესამე სამოქმედო გეგმის შემუშავებისას, ისევე როგორც 2018 წლის მარტში ბოსნია და ჰერცოგოვინას შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის მეთაურობის ,,ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის მეთაურთა ქსელში" გაერთიანებით.

განხორციელებული აქტივობების ფარგლებში, რომელიც ჩვენ განვახორციელეთ ქსელის ამოცანებიდან გამომდინარე, ,,ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის მეთაურთა ქსელისა" და გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციით გათვალისწინებული პრინციპების დანერგვის მიზნით ახალი შესაძლებლობების დანერგვის ნაცვლად, ჩვენ გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა უკვე არსებული, შესაბამისი აუცილებლებიდან გამომდინარე შეცვლილი შესაძლებლობები, და დაგვეფუძნებინა დროებითი ორგანოები, გენერლების ხელმძღვანელობით, რათა დაგვეჩქარებინა ამ უაღრესად კომპლექსური პროექტის იმპლემენტაცია ამ ამოცანათა შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში შესაბამისი ორგანიზაციული დანაყოფებისა და პირების კომპეტენციაში გადაცემისათვის წინაპირობების შექმნის მიზნით. აღიარებულია ის ფაქტი, რომ ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია, რომელიც პასუხისმგებელია პროფესიონალიზმის უზრუნველყოფაზე, ქცევის ეთიკური წესებისა და სტანდარტების დანერგვაზე, პროფესიული ქცევის წესებისა და სტანდარტების მიღებისა და დამკვიდრების პროცესში რჩევების მიცემაზე, ისევე როგორც აღმოჩენილ დარღვევებთან დაკავშირებით გამოძიების ჩატარებაზე, კეთილსინდისიერების ამაღლებასთან დაკავშირებულ აქტივობებსა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე, წარმოადგენს შეუცვლელ სუბიექტს ამ პროცესებში და გარდამავალ პერიოდში უნდა იყოს ,,ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების" და გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციით გათვალისწინებული დღის წესრიგის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების მთავარი მაკოორდინირებელი.

ისეთი თემატიკა, როგორიცაა გენდერი, დისკრიმინაციის თავიდან აცილება და სქესობრივი ძალადობა ან შეურაცხყოფა, შესულია ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების პერსონალისთვის განკუთვნილ უკვე შედგენილ საგანმანათლებლო პროგრამებსა და ტრენინგის სისტემებში, და მათი შესრულება ხორციელდება გენერალური ინსპექციის მიერ გენდერის ინსტრუქტორებთან თანამშრომლობით. მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციებში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხები ინკორპორირებულია როგორც მისიის ადგილას განთავსებამდე პერიოდის ტრენინგის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების განმახორციელებელი სამხედრო პერსონალისთვის. ამ პროცესის შეფასების შემდგომ ,,ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების'' დღის წესრიგი ფართოვდება და მოიცავს სხვა ისეთ სფეროებსა და პროექტებს, როგორიცაა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა და ფსიქიკური დაავადებების პრევენცია. ამ კუთხით, მომავალ პერიოდში, ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ბოსნია და ჰერცოგოვინის შეიარაღებული ძალების ფსიქოლოგებისათვის, ისევე როგორც ბოსნია და ჰერცოგოვინას შეიარაღებულ ძალებში სექსუალური ძალადობისა და შეურაცხყოფის სავარაუდო მსხვერპლებთან მომუშავე სხვა პირთათვის ტრენინგების ჩატარება.

უფრო მეტიც, ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტროში კეთილსინდისიერების ამაღლებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა ფარგლებში, გენერალურმა ინსპექციამ თანამშრომლობა დაამყარა არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან, ინსტიტუციასთან და პარტნიორ ქვეყანასთან, რომლებიც თავდაუზოგავად მხარს უჭერდნენ და აფინანსებდნენ ამ სფეროში მიმდინარე პროექტებს. არაერთ ინსტიტუციასთან დამყარებულმა თანამშრომლობამ პირდაპირი მნიშვნელობით ასევე მოიცვა ,,ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების'' დღის წესრიგი. ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ბოსნია და ჰერცოგოვინაში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს მიერ მხარდაჭერილი არაერთი პროექტი, რომელთაგან გამოვყოფდი ბოსნია და ჰერცოგოვინას შეიარაღებული ძალების ობიექტებზე ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსებას, რომელიც მიზნად ისახავდა ქალებისა და მამაკაცების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას; ისევე, როგორც საზოგადოებრივი კვლევის - ,,ბოსნია და ჰერცოგოვინას შეიარაღებულ ძალებში სამსახურის გავლის თაობაზე მოქალაქეთა განწყობების ანალიზი'' ჩატარების მხარდაჭერას.

კეთილსინდისიერების გაძლიერებისა და დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიმართულებით ოსლოს თავდაცვის სფეროში კეთილსინდისიერების ცენტრთან და გაეროს განვითარების პროგრამის მსუბუქი იარაღისა და მცირე შეიარაღების სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის საინფორმაციო ცენტრთან თანამშრომლობაც ასევე გამორჩეულ ხასიათს ატარებს.

ამასთან, მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტროს გამოცდილება და კარგი პრაქტიკა ჭარბი იარაღისა და საბრძოლო მასალების, ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და ფეთქებადი ნივთიერებების მართვის პროცესში კორუფციის თავიდან აცილების თვალსაზრისით, მხედველობაში მიღებული იქნა ნატოს მიერ, რასაც შედეგად მოჰყვა მსუბუქი იარაღის, მცირე შეიარაღებისა და საბრძოლო მასალის ვარგისიანობის ციკლის მართვის პროცესში ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფისა და კორუფციის თავიდან აცილების მიზნით ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებასთან დაკავშირებული ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების პროექტში ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტროს აქტიური მონაწილის სახით ჩაბმა.

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ თუკი ნებისმიერ სფეროში, მათ შორის ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის იმპლემენტაციისა და მსუბუქი იარაღისა და მცირე შეიარაღების ვარგისიანობის ციკლის მართვის მიმართულებით მიმდინარე პროცესები გაითვალისწინებს კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის განმტკიცების, ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების პრინციპებს, ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული პროცესები წარიმართება უფრო სამართლიანად, და საზოგადოებასა და მის თითოეულ წევრს ექნება სრული ნდობა იმ ინსტიტუციების მიმართ, რომლებიც მართავენ ამ პროცესებს.

მადლობას ვუხდით ბრიგადის გენერალ აჰმიჩს ამ ინტერვიუსთვის.

კოლუმბია: ექსპერტ-შემფასებელთა ვიზიტი

ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ექსპერტ-შემფასებელთა ჯგუფის თავდაცვის მინისტრ მოლანოს ორგანიზებით კოლუმბიაში ვიზიტის ოფიციალური დაწყების ცერემონიის ამსახველი ჯგუფური ფოტო

2022 წლის 2-6 მაისის პერიოდში, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრმა კოლუმბიაში ვიზიტისას განახორციელა 2020 წლის ბოლოს ნატოში წარდგენილი თვითშეფასების შევსებული კითხვარის ექსპერტული შეფასება. აღნიშნული ვიზიტი ორგანიზებული იქნა კოლუმბიის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი ხელმძღვანელობის ჩართულობით. პირველ დღეს გაცნობითი ხასიათის გამართვის შემდეგ, რომელსაც უძღვებოდა თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის სამინისტროს მინისტრის მოადგილე, ქალბატონი სანდრა ალზატე ციფუენტესი, სამშაბათს, 4 მაისს თავდაცვის მინისტრთან, დიეგო ანდროს მოლანოსთან გაიმართა ღონისძიების ოფიციალური დაწყების ცერემონია. ღონისძიებას ესწრებოდნენ სამინისტროს სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელობის წარმომადგენლები, სახელდობრ თავდაცვის მინისტრის მოადგილე ალზატე, ვეტერანთა, სოციალურ და სამეწარმეო საკითხთა მინისტრის მოადგილე გუსტავო ნინო ფურნიელესი, სტრატეგიული განვითარების მინისტრის მოადგილე ხაირო გარსია გერერო, ისევე როგორც გენერალი ლუის ფერნანდო ნავარო ხიმენესი, სამხედრო ძალების გენერალური სარდალი, გენერალი ედუარდო ენრიკე ზაპატეირო ალტამირანდა ეროვნული ჯარის სარდალი, გაბრიელ ალფონსო პერეზ გარსესი, გენერალი რამზეს რუედა რუედა, ეროვნული საჰაერო ძალების სარდალი, გენერალი ხორგე ლუის ვარგას ვალენსია, ეროვნული საზღვაო ძალების სარდალი, და ეროვნული პოლიციის

თავდაცვის მინისტრი მოლანო ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ექსპერტ-შემფასებელთა ჯგუფის ვიზიტის ოფიციალური დაწყების ცერემონიაზე, 3 მაისი, 2022

დოქტორი ორლანდო ვეგა ნავასი, კოლუმბიის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს შიდა კონტროლის დეპარტამენტის უფროსი და ქალბატონი ბენედიქტე ბორელი, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების გუნდის ლიდერი და ქვეყნის თანამშრომელი კოლუმბიაში ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ექსპერტ-შემფასებელთა ჯგუფის ვიზიტის ოფიციალური დაწყების ცერემონიაზე, 3 მაისი, 2022

ორმხრივი შეხვედრა თავდაცვის მინისტრ მოლანოსა და ნატოს კეთილსინდიერების ამაღლების ექსპერტ-შემფასებელთა ჯგუფს შორის, რომელსაც ესწრებოდნენ ქალბატონი ბენედიქტე ბორელი, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების გუნდის ლიდერი და ქვეყნის თანამშრომელი კოლუმბიაში, მუჰამედ-ალი ამრი, ტუნისის შეიარაღებული ძალების უფროსი პოლკოვნიკი, ბატონი ფრანსუა გოწიე, ნატოს შიდა აუდიტისა და რისკების მართვის ოფისის ხელმძღვანელი, ყოფილი ელჩი ვალერი რატჩევი, ექსპერტი ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების საკითხებში, და ბატონი კირე კნუცენი, ნორვეგიის თავდაცვის სამინისტროს უფროსი ოფიცერი.

ეროვნული ჯარის სარდალი, გენერალი ედუარდო ენრიკე ზაპატეირა ალტამირანდა

გენერალური დირექტორი (ფოტოები 1+2), სხვადასხვა აღმასრულებლები და დეპარტამენტების უფროსები. ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ექსპერტ-შემფასებელთა ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა ნატოსა და ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების საკითხზე მომუშავე ექსპერტებისაგან, და ნორვეგიისა და ტუნისის წარმომადგენელი ექსპერტებისაგან, ორმხრივი შეხვედრა გამართა თავდაცვის მინისტრ მოლანოსთან (ფოტო 3) და მინისტრის სამ მოადგილესთან, რა დროსაც მათ მიმოიხილეს აღნიშნული ვიზიტი, ისევე როგორც ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების სფეროში თანამშრომლობის საგანი. ამ კვირის განმავლობაში ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ექსპერტ-შემფასებელთა ჯგუფს შესაძლებლობა მიეცა გულდასმით შეესწავლა კეთილსინდისიერების ამაღლების პირველი პროცესის დასრულების შემდგომ (2014-2016 წლები) ჩატარებული რეფორმების შინაარსი, მათი ზეგავლენა და მიმოეხილა ადამიანური და ფინანსური რესურსებისა და აღჭურვილობის არსებული მართვის სისტემა (ფოტო 4).

ამასთან, კოლუმბიის შეიარაღებულმა ძალებმა ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ექსპერტ-შემფასებელთა ჯგუფს შესთავაზა დაკვირვება განეხორციელებინა ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების პრინციპების დანერგვის პროცესზე ოპერაციულ დონეზე პალანქუეროს №1 საჰაერო ბაზაზე ვიზიტის ფარგლებში. ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ექსპერტ-შემფასებელთა ჯგუფმა შეხვედრები გამართა ასევე კოლუმბიის პრეზიდენტის გამჭვირვალობის სამდივნოსთან და ორგანიზაცია საერთაშორისო გამჭვირვალობა-კოლუმბიასთან.

ამ ვიზიტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ მოცემულ ბმულებს:

- https://twitter.com/COMANDANTE_EJC/status/1522252977209233410?t=WeSvYOOGIR4oXBcSom-DKg&s=08
- https://twitter.com/mindefensa/status/1522707549635624961?s=20&t=C-b-StmMGsVuCY8bJx9kFw
- https://twitter.com/mindefensa/status/1522317402926686209?s=20&t=C-b-StmMGsVuCY8bJx9kFw
- https://twitter.com/mindefensa/status/1522707539162550273?s=20&t=C-b-StmMGsVuCY8bJx9kFw
- https://twitter.com/mindefensa/status/1521936028050862081?s=20&t=C-b-StmMGsVuCY8bJx9kFw

ერაყი: სტრატეგიული სწავლებისა და კვლევების ცენტრისთვის განკუთვნილი ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრის ვიდეო კონფერენცია

ერაყის სტრატეგიული სწავლებისა და კვლევების ცენტრის მკვლევარების მონაწილეობა ვიდეო კონფერენციაში. ვიცე-პოლკოვნიკი ლუის კარერასი, სტრატეგიული სწავლებისა და კვლევების ცენტრის მრჩეველი ერაყში ნატოს მისიიდან, დისკუსიის წამყვანი. დოქტორი ნადია მილანოვა, ერაყში ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ქვეყნის თანამშრომელი, უძღვება ონლაინ ლექციას ნატოს ბრიუსელის შტაბ-ბინიდან.

15 მარტს, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრმა და ერაყში ნატოს მისიამ ერაყის სტრატეგიული სწავლებისა და კვლევების ცენტრისთვის ჩაატარა ვიდეო კონფერენცია, რომელიც შეეხებოდა ნატოს თავდაცვის ეფექტური და ეფექტიანი ინსტიტუციების მშენებლობის კეთილსინდისიერების პრინციპებისა და მათი საგანმანთლებლო პროგრამებისა და ტრენინგების მეშვეობით დანერგვის გზების შესახებ საკითხებს. ამ კონფერენციის მთავარი მიზანი იყო, ერაყის სამხედრო-საგანმანათლებლო ინსტიტუციების პროგრამებში კეთილსინდისიერების ამაღლების მოდულის გათვალისწინების საჭიროების თაობაზე ცნობიერების გაზრდა, როგორც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში მთავრობისთვის აღმოჩენილი დახმარების ფორმა.

ბაღდადში, ამ კონფერენციაში, რომელიც ონლაინ რეჟიმში ჩატარდა ნატოს ბრიუსელის შტაბ-ბინიდან, მონაწილეობა პირადად მიიღო ერაყის სტრატეგიული სწავლებისა და კვლევების ცენტრის თერთმეტმა წარმომადგენელმა, მათ შორის სამხედრო და სამოქალაქო მკვლევარებმა. ლექციამ და თანმდევმა მონაწილეთა შეკითხვებმა და კომენტარებმა მოიცვა საკითხების ფართო სპექტრი, მათ შორის: თავდაცვის რეფორმებისა და ინსტიტუციების მშენებლობის პროცესსადმი ნატოს კეთილსინდისიერების განვითარების მიდგომები; კეთილსინდისიერების ამაღლებასთან და კორუფციის პრევენციასთან დაკავშირებული კონცეფციები; თავდაცვის ეფექტური და ეფექტიანი ინსტიტუციების მოწყობის პრინციპები; კეთილსინდისიერება ინსტიტუციურ და ინდივიდუალურ დონეზე; და კეთილსინდისიერების ამაღლების საკითხზე განათლებისა და ტრენინგების როლი თავდაცვისა და სამხედრო-საგანმანათლებლო ინსტიტუციებისათვის.

კონფერენციის დასკვნით ნაწილში, სტრატეგიული სწავლებისა და კვლევების ცენტრმა მოითხოვა კეთილსინდისიერების ამაღლებასთან დაკავშირებული სამომავლო ღონისძიებების ჩატარება ცენტრის მკვლევარებისათვის, ისევე როგორც სხვა სამხედრო-საგანმანათლებლო ინსტიტუციების ინსტრუქტორთათვის. ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრი და ერაყში ნატოს მისია გეგმავენ სალექციო სესიების სერიის ჩატარებას 2022 წლის ივნისსა და სექტემბერში.

მავრიტანია: ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების გაცნობა

ნატოს უსაფრთხოების მზარდი გამოწვევების დანაყოფის კონტრ-ტერორისტული სექციის მიწვევით ვიზიტით მყოფ მავრიტანიის სამხედრო დელეგაციას ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრმა შესთავაზა პრეზენტაცია, რომელიც შეეხებოდა ნატოს ძალისხმევას კარგი მმართველობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების უზრუნველყოფის პროცესში და კავშირებს კონტრ-ტერორიზმის სფეროსთან.

ტუნისი: ნატოს ყოველწლიური კეთილსინდისიერების ამაღლებაზე ორიენტირებული სამუშაო პროგრამის იმპლემენტაციის გაგრძელება

ბრიგადის გენერალი, ბოსნია და ჰერცოგოვინას შეიარაღებული ძალების გენერალური ინსპექტორი მირსად აპმიჩი (მარჯვნივ) და ბოსნია და ჰერცოგოვინას შეიარაღებული ძალების მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების სასწავლო ცენტრის მეთაური, პოლკოვნიკი ელვედინ ომიჩი (მარცხნივ).

ამ გაზაფხულის მანძილზე, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრსა და ტუნისის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს შორის გრძელდებოდა აქტიური თანამშრომლობა, მათ შორის განათლების სპეციფიურ სფეროში.

ტუნისის შეიარაღებული ძალების გენერალური ინსპექტორის მხარდაჭერით, ტუნისის კეთილსინდისიერების ამაღლების სამუშაო ჯგუფისა და სამხედრო განათლების ტუნისელი სპეციალისტებისაგან შემდგარ დელეგაციას შესაძლებლობა მიეცათ ვიზიტით წვეოდნენ ბოსნია და ჰერცოგოვინას შეიარაღებული ძალების მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების სასწავლო ცენტრს, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების დისციპლინაში საგანმანათლებლო პროგრამებისა და ტრენინგების გაცნობის მიზნით. 21 და 22 აპრილის პერიოდში, ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში, შეიარაღებული ძალების მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების სასწავლო ცენტრის პროფესიონალმა ტრენერებმა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კეთილსინდისიერების ამაღლების დარგში ტრენინგების ჩატარებაზე,[1] ვიზიტით მყოფ სტუმრებს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება, რომელიც უკავშირდება კურსების შემუშავებას, კეთილსინდისიერების ამაღლების სასწავლო პროგრამის შედგენას და კურსებისა და ინსტიტუციების ნატოს მიერ სერტიფიცირებისა და აკრედიტაციის პროცესს. პრაქტიკოსთა შორის ცოდნის ასეთი ურთიერთგაცვლა ყოველთვის დასაფასებელია, ვინაიდან ის ხელს უწყობს გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკის გაზიარებას. ეს ვიზიტი ნაწილია იმ სამი ვიზიტის სერიისა, რომელიც უკავშირდება ტუნისისთვის საგანმანათლებლო გამოცდილების გაზიარებას. ამ ვიზიტს მოსდევს მეორე ვიზიტი თავდაცვის რესურსების მენეჯმენტის სწავლების რეგიონალური დეპარტამენტის ტრენინგებისა და საგანმანთლებლო საპარტნიორო ცენტრში, და დასრულდება

[1] შეიარაღებული ძალების მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების სასწავლო ცენტრი ყოველწლიურად ადგილზე ატარებს ორ კურსს კეთილსინდისიერების ამაღლების სფეროში - კეთილსინდისიერების ამაღლება მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციებში, განკუთვნილი OF2-OF4 მოსამსახურეებისათვის და კეთილსინდისიერების ამაღლება განკუთვნილი უნტერ-ოფიცრებისათვის

ბრიგადის გენერალი, ტუნისის შეიარაღებული ძალების გენერალური ინსპექტორი, აბდელმონაამ ბელაათი და ბრიგადის გენერალი, ბოსნია და ჰერცოგოვინას შეიარაღებული ძალების გენერალური ინსპექტორი მირსად აპმიჩი.

ბრიგადის გენერლის, ტუნისის შეიარაღებული ძალების გენერალური ინსპექტორის, აბდელმონაამ ბელაათის ხელმძღვანელობით ტუნისელი დელეგაციის ჩამოსვლა მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების სასწავლო ცენტრში, სარაევო, ბოსნია და ჰერცოგოვინა.

ვიზიტით ობერრამერგაუს ნატოს სკოლაში. ეს საგანმანათლებლო გამოცდილების გაზიარების ტურები წარმოადგენს საგანგებოდ შემუშავებული ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლება - ტუნისი 2022 სამუშაო პროგრამის ნაწილს, რომლის ფარგლებშიც შეთანხმებული იქნა ტუნისის გადაწყვეტილება ტუნისის კეთილსინდისიერების ამაღლების რეგიონული ცენტრის დაფუძნების თაობაზე, და ხელს უწყობს კეთილსინდისიერების ამაღლების დისციპლინის განგრძობად დანერგვას, როგორც ასეთს.

ამის შემდგომ, 2022 წლის 18 მაისს, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრმა და ეროვნული თავდაცვის სამინისტრომ ჩაატარა ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების მიერ მშვიდობის დაგეგმვისა და შეფასების პროცესის პარტნიორობისა და თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების პაკეტის განხორციელების მხარდაჭერის შეფასება. ეს შეფასება განხორციელდა დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში, რა დროსაც შესაძლებელი იქნა განხილულიყო ტუნისის თავდაცვის სექტორში კარგი მმართველობისა და კეთილსინდისიერების ამაღლებასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში თანამშრომლობის საკითხები.

გამოცდილების ურთიერთგაცვლა და დისკუსიები მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების სასწავლო ცენტრში, სარაევო, ბოსნია და ჰერცოგოვინა.

აშშ: ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრმა მონაწილეობა მიიღო უსაფრთხოების სექტორში მმართველობის საკითხებთან დაკავშირებული ექსპერტული შეფასებების ურთიერთგაცვლის პროცესში

2022 წლის 16 მარტს, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრმა სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული ინსტიტუციებისათვის სტრატეგიული რჩევების მიცემის პროცესში ჩართულ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩევლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ონლაინ ფორმატის ექსპერტული შეფასებების ურთიერთგაცვლის ღონისძიებაში. ,,კორუფციული პრაქტიკის კონტექსტში მდგრადი ცვლილებების მხარდაჭერის'' სახელით, ნატოს კეთილსინდისიერების ცენტრმა ღონისძიებაზე წარადგინა ბოლო 15 წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილების მიმოხილვა, კოლეგებთან ერთად მონაწილეობა მიიღო მათ მიერ მიღებულ გამოცდილებასთან დაკავშირებულ დისკუსიებში და გაუზიარა დადებითი ცვლილებებისა და რეფორმების წინაშე არსებულ გამოწვევებთან, ინსტიტუტების მშენებლობასთან და ინსტიტუციურ და ინდივიდუალურ დონეზე კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საფუძვლების ჩაყრასთან დაკავშირებული კარგი პრაქტიკა და ხედვები.

2022 წლის 25 მაისს, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკურ-სამხედრო საქმეთა/გლობალური პროგრამებისა და ინიციატივების ბიუროს უსაფრთხოების ძალების შესაძლებლობების გაძლიერების დანაყოფის მიწვევით, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრმა მონაწილეობა მიიღო საექსპერტო ღონისძიებაში ,,მმართველობა უსაფრთხოების სფეროში: საერთაშორისო პრინციპები და საუკეთესო პრაქტიკა.'' გაეროს მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების დეპარტამენტის უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების დანაყოფიდან, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციიდან და უსაფრთხოების სექტორში მმართველობის ცენტრიდან წარმოდგენილ სხვა ექსპერტებთან ერთად, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრმა კეთილსინდისიერების ამაღლების კარგ პრაქტიკაზე დაყრდნობით, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრის სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით, შეიმუშავა და დაამტკიცა უსაფრთხოების სექტორში მმართველობის ძირითადი პრინციპები. ექსპერტთა დისკუსიების დროს ხაზი გაესვა საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით თანამშრომლობისა და მხარდაჭერის პროცესში უსაფრთხოების სექტორში მმართველობის მნიშვნელობას.

კეთილსინდისიერების ამაღლება ოპერაციების მიმდინარეობისას: ერაყში ნატოს მისიისთვის განკუთვნილი მისიის ადგილზე განთავსებამდე პერიოდის ლექცია ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების თემაზე

2022 წლის 4 აპრილს, ქალაქ ბიდგოჟში, პოლონეთში, ნატოს გაერთიანებული ძალების სასწავლო ცენტრის მიწვევით, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრმა ჩაატარა ონლაინ ფორმატის ლექცია ერაყში ნატოს მისიის კონტექსტში კეთილსინდისიერების ამაღლებისადმი ნატოს მიდგომების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე. ლექცია წარმოადგენდა ერაყში ნატოს მისიის ფარგლებში როტაციული წესით ბაღდათში პირადი შემადგენლობისა და მრჩევლების გამგზავრებამდე მომზადებისა და ტრენინგის ნაწილს.

ლექციაზე შესაძლებელი იყო, დისკუსია გამართულიყო ერაყში ნატოს მისიის ფარგლებში კეთილსინდისიერების ამაღლების ძალისხმევის შესახებ, და ასევე ხაზგასმულიყო კეთილსინდისიერების ამაღლების, როგორც ერაყში ნატოს მისიის მანდატის აღსრულების უზრუნველმყოფი საშუალების, უკეთ შეცნობის აუცილებლობა. სპეციალური ყურადღება დაეთმო კეთილსინდისიერების ამაღლების ყოვლისმომცველ ხასიათს და მისი საქმიანობის ყველა მიმართულებასა და რჩევით ფუნქციებთან ინტეგრირების მნიშვნელობაზე, მისი როგორც განცალკევებული, ცალკე მდგომი სახით ძალისხმევის შესრულებასთან ერთად.

2021 წლიდან, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ლექციები მისიის პერსონალისთვის განკუთვნილ ადგილზე განთავსებამდე პერიოდების ტრენინგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. აღნიშნულით კიდევ ერთხელ დადასტურებულია კეთილსინდისიერების ამაღლების მნიშვნელობა ნატოს ხელმძღვანელობით მიმდინარე მისიებისა და ოპერაციების კონტექსტში, რასაც თან მოჰყვა 2021 წლის თებერვალში ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს მიერ ოპერაციებში კეთილსინდისიერების ამაღლების ნატოს სამხედრო კონცეფციის დამტკიცება.

კეთილსინდისიერების ამაღლება: 2022 წლის ყოველწლიური დისციპლინების ფორუმი და 2022 წლის კეთილსინდისიერების ამაღლების მოთხოვნათა შეფასების სამუშაო შეხვედრა

დოქტორი გერლინდე ნიჰუსი, ნატოს ოპერაციების დანაყოფის თავდაცვის ინსტიტუციებისა და შესაძლებლობების გაძლიერების დირექტორატის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრმა, თავისი ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების დისციპლინის მოთხოვნის დამდგენის უფლებამოსილებების ფარგლებში, მონაწილეობა მიიღო ნატოს გაერთიანებული სამეთაურო ტრანსფორმაციის მიერ ორგანიზებულ პირველ ყოველწლიურ დისციპლინათა ფორუმში. ამ ღონისძიებაზე, რომელიც გაიმართა 2022 წლის 25-28 აპრლის პერიოდში, საფრანგეთის საჰაერო ძალების ლიონის ბაზაზე, საჰაერო ოპერაციების მოწინავე ცენტრში, ნატოს სამეთაურო ტრანსფორმაციის გლობალური პროგრამირების 28 საგანმანათლებლო დისციპლინას, მოთხოვნების დამდგენ ორგანოებსა და დეპარტამენტების უფროსებს შესაძლებლობა მიეცათ გაემართათ დისკუსია დისციპლინათა მართვის სტრუქტურებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტზე. ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა კოლეგების მიერ ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობასა და დისციპლინებს შორის სასწავლო საგნების დანერგვის სტიმულირებას.

2022 წლის 24 მაისს, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრმა ჩაატარა დისციპლინების მოთხოვნების შეფასების ყოველწლიური სამუშაო შეხვედრა. ამ ონლაინ ფორმატში გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ორმოცზე მეტმა მონაწილემ, ნატოს წევრი სახელმწიფოების, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების განმახორციელებელი პარტნიორების, ისევე როგორც სხვა დისციპლინათა წარმომადგენლებმა. რაც შეეხება სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს, აღსანიშნავია კოლუმბიის სამხედრო სასწავლებლისა და უკრაინის სახელმწიფო სამხედრო მრეწველობის - უკრობორონპრომის წარმომადგენელთა დასწრება, რომელთაგან ორივემ პირველად მიიღო მონაწილეობა ამ ღონისძიებაში; ისევე როგორც ტუნისის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისა და საქართველოს თავდაცვის ინსტიტუტების მშენებლობის სკოლის წარმომადგენლების მონაწილეობა; თითოეული მათგანი დიდ ინტერესს იჩენდა ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების საგანმანათლებლო პროგრამებისა და დისციპლინის განვითარების საკითხებისადმი.

დისციპლინების მოთხოვნების შეფასების ყოველწლიური სამუშაო შეხვედრა გახსნა დოქტორმა გერლინდე ნიჰუსმა, ნატოს ოპერაციების დანაყოფის თავდაცვის ინსტიტუციებისა და შესაძლებლობების გაძლიერების დირექტორატის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა. გახსნით სიტყვაში, მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების დისციპლინის განგრძობადი განვითარებისა და ზრდის პროცესს, რა დროსაც ხაზი გაუსვა მის, ,,საგნის სპეციფიური ბუნებით და მოთხოვნების დამდგენის უფლებამოსილების მქონე ნატოს საერთაშორისო შემადგენლობასთან არსებული მართვის სპეციფიური სტრუქტურით განპირობებულ უნიკალურ ხასიათს.''

ამ ღონისძიებამ შესაძლებლობა მისცა ნატის კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესს ოფიციალურად დაემტკიცებინა 2021 წლის დისციპლინათა განხორციელების გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები. სტრატეგიულ, პოლიტიკურ, პოლიტიკურ-სამხედრო, საოპერაციო და ტაქტიკურ დონეზე ნატოს მეთაურობის სტრუქტურისა და ქვეყნებისთვის განკუთვნილი პოტენციური ახალი ტრენინგების საჭიროებების დამტკიცების, ანალიზისა და იდენტიფიცირების სამუშაოები გაგრძელდება. აღნიშნული პროცესი გაგრძელდება ყოველწლიურ დისციპლინათა კონფერენციის გამართვამდე, რომელიც ჩატარდება ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების დისციპლინის დეპარტამენტის უფროსის, ნორვეგიის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს კეთილსინდისიერების ცენტრის ხელმძღვანელობით, ნატოს შტაბ-ბინაში, შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში.

ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების მოთხოვნების შეფასების სამუშაო შეხვედრის ყოველწლიურად ჩატარება კეთილსინდისიერების ამაღლების იმპლემენტაციისა და გაუმჯობესების პროცესში მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, ვინაიდან მოთხოვნათა დადგენა განაპირობებს კეთილსინდისიერების ამაღლების საგანმანათლებლო პროცესის შემდგომ განვითარებას.



ქალბატონი ბენედიქტე ბორელი, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ჯგუფის ხელძღვანელი და კოლუმბიის არმიის საერთაშორისო მისიებისა და ფართომასშტაბიანი მოქმედებების სკოლის, ასევე ტუნისის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები.

ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ლექცია იტალიის თავდაცვის უმაღლესი სწავლების ცენტრის 2021-2022 აკადემიური წლის სესიაზე

2021 წლის 19 ოქტომბრიდან 2022 წლის 31 მაისამდე პერიოდში, იტალიის თავდაცვის უმაღლესი სწავლების ცენტრში, ცენტრის უმაღლესი თავდაცვის სწავლების 2021-2022 აკადემიური სამოცდა მეცამეტე სესია გაიმართა. 2022 წლის 20 მაისს, თავდაცვის უმაღლესი სწავლების ცენტრის მიწვევით, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრმა ჩაატარა ლექცია ,,ლიდერობა და კეთილსინდისიერების ამაღლების" მოდულის ფარგლებში, რომელიც, როგორც ამ სასწავლო წლის აკადემიური პროგრამის ნაწილი, მიმდინარეობდა 16-20 მაისის პერიოდში.

ნახევარ დღეზე მეტი ხნის განმავლობაში, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრმა წარმოადგინა და დამსწრე საერთაშორისო საზოგადოებას გაუზიარა თავდაცვისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორში კარგი მმართველობისა და ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების უზრუნველყოფის საშუალებებისადმი, მათ შორის მონაწილე ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების ინსტიტუციებისათვის ხელმისაწვდომი კეთილსინდისიერების ამაღლების თვითშეფასებისა და ექსპერტული შეფასებების პროცესისადმი თავისი მიდგომები. საერთაშორისო მონაწილეებს ჰქონდათ შეკითხვები და კომენტარები ლექციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორებიცაა ნატოსა და მისი პარტნიორების როლი პარტნიორი ქვეყნების ეროვნული ინსტიტუციების რეფორმებისა და დადებითი ცვლილებების განხორციელების პროცესში, ასევე ცალკეული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სპეციფიური კონტექსტის გათვალისწინებით ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების მექანიზმების გამოყენების პროცესში მიღებული გამოცდილება და არსებული გამოწვევები.

ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრის მონაწილეობა 2022 წლის სამხედრო სტრატეგიული პარტნიორობის კონფერენციაში

ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრმა მონაწილეობა მიიღო 2022 წლის 28 მარტი - 1 აპრილის პერიოდში, დუბლინში გამართულ სამხედრო სტრატეგიული პარტნიორობის კონფერენციაში, რომელიც ორგანიზებული იყო ოპერაციების გაერთიანებული სარდლობის მიერ, ხოლო კონფერენციას მასპინძლობდა ირლანდიის თავდაცვის სამინისტრო. ღონისძიებაზე ყურადღება დაეთმო ,,თანამშრომლობის მეშვეობით სტაბილურობის დაცვის" საკითხებს.

ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრმა დაიწყო თავისი კეთილსინდისიერების ამაღლება-მსუბუქი იარაღისა და მცირე შეიარაღების პროექტის იმპლემენტაცია სარაევოში, ბოსნია და ჰერცოგოვინა

ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლება-მსუბუქი იარაღის და მცირე შეიარაღების პროექტის გუნდის ვიზიტი ბოსნია და ჰერცოგოვინას შეიარაღებული ძალების ლოგისტიკის სარდლობაში, დობოჯი, 2022 წლის 13 აპრილი

2022 წლის თებერვალში, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრმა დაიწყო პროექტის ,,მსუბუქი იარაღის, მცირე შეიარაღებისა და საბრძოლო მასალის ვარგისიანობის ციკლის მართვის სფეროში კარგი მმართველობის, ანგარიშვალდებულებისა და კორუფციის პრევენციის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება: ბოსნია და ჰერცოგოვინას მაგალითზე მიღებული გამოცდილება და კარგი პრაქტიკა'' იმპლემენტაცია. პროექტი ხორციელდება ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით,[1] შეიარაღების მართვის მრჩეველთა გუნდის, ჰუმანიტარული განაღმვის ჟენევას საერთაშორისო ცენტრისა და გაეროს დაცვის ექსპერტიზის თანხლებით.

პროექტის განხორციელება ოფიციალურად დაიწყო 2022 წლის 12-13 აპრილს სარაევოში, ბოსნია და ჰერცოგოვინა. პროექტის დაწყების ღონისძიება გახსნა ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის მინისტრმა, დოქტორმა სიფეთ პოდიჩმა, რა დროსაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ეროვნული უწყებების ჩართულობა ამ სფეროში მათი გამოცდილების გაზიარების, გამოწვევებისა და საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით. ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ნატოს სარაევოს შტაბ-ბინის მეთაურმა, ბრიგადის გენერალმა (აშშ არმია) პამელა მაკგაჰამ და ბოსნია და ჰერცოგოვინაში ევროკავშირის ძალების მეთაურმა, ანტონ უესელმა.

სარაევოში ვიზიტისას, პროექტის განმახორციელებელმა გუნდმა, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლებისა და შეიარაღების მენეჯმენტის მრჩეველთა გუნდის ექსპერტების შემადგენლობით, პროცესში ჩართულ ძირითად ეროვნული დონის მხარეებთან პროექტის შინაარსსა და კვლევის საკითხებთან დაკავშირებით გამართა კონსულტაციების სერია. კონსულტაციები გაიმართა ისეთი უწყებების წარმომადგენლებთან, როგორებიცაა თავდაცვის სამინისტრო და მსუბუქი იარაღისა და მცირე შეიარაღების საკოორდინაციო საბჭო, ასევე ბოსნია და ჰერცოგოვინაში ევროკავშირის ძალების წარმომადგენლებთან, რომლებიც მხარს უჭერენ ბოსნია და ჰერცოგოვინას შეიარაღებულ ძალებთან ერთად საბრძოლო მასალების, იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერებების, განაღმვისა და კოლექტიური სწავლების გენერალური გეგმის იმპლემენტაციას.

მსუბუქი იარაღის და მცირე შეიარაღების ვარგისიანობის ციკლის მართვის სფეროში კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. პროექტი მიზ-

[1] მოცემულ სკითხთან დაკავშირებით იხილეთ ინტერვიუ ბრიგადის გენერალთან, ბოსნია და ჰერცოგოვინას შეიარაღებული ძალების გენერალურ ინსპექტორთან მირსად აჰმიჩთან ამ გამოცემის 3 გვერდზე

ბოსნია და ჰერცოგოვინას თავდაცვის მინისტრი, დოქტორი სიფეთ პოდიჩი, ისევე როგორც ბრიგადის გენერალი, ბოსნია და ჰერცოგოვინას შეიარაღებული ძალების გენერალურ ინსპექტორი მირსად აჰმიჩი და დოქტორი ნადია მილანოვა, ერაყში ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ქვეყნის თანამშრომელი, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლება-მსუბუქი იარაღის და მცირე შეიარაღების პროექტის დაწყების ღონისძიებაზე, 2022 წლის 12 აპრილს, სარაევოში

ნატოს სარაევოს შტაბ-ბინის მეთაური, ბრიგადის გენერალი პამელა მაკგაჰა, ისევე როგორც შეიარაღების მართვის მრჩეველთა გუნდის ექსპერტები ბატონი ბენჯამინ კინგი და ქალბატონი სავანა დე ტესერი ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლება-მსუბუქი იარაღის და მცირე შეიარაღების პროექტის დაწყების ღონისძიებაზე, 2022 წლის 12 აპრილს, სარაევოში

ნად ისახავდა მსუბუქი იარაღის და მცირე შეიარაღების ვარგისიანობის ციკლის მართვის სფეროში ანგარიშვალდებულებისა და კარგი მმართველობის გაძლიერებისთვის საჭირო ეროვნული შესაძლებლობების განვითარებას, რა დროსაც ყურადღება ექცეოდა ამ სფეროში არსებულ სისუსტეებსა და კორუფციის თავიდან აცილებას. პროექტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მსუბუქი იარაღის და მცირე შეიარაღების ვარგისიანობის ციკლის მართვის სფეროში რისკებისა და სისუსტეების ანალიზი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტის გზების შემუშავება, კარგი პრაქტიკის ინსტიტუციონალიზაციის უზრუნველსაყოფად ქმედითი და პრაქტიკული საშუალებების განვითარების გზით.

პროექტი ხელს უწყობს ფრანგულ-გერმანული ინიციატივის განხორციელებას 2024 წლისთვის დასავლეთ ბალკანეთში მსუბუქი იარაღის და მცირე შეიარაღების და საბრძოლო მასალის უკანონო მფლობელობასთან, გამოყენებასა და გასაღებასთან დაკავშირებული საკითხების მდგრად გადაწყვეტასთან დაკავშირებით. პროექტი განხორციელდება 2022 წლის განმავლობაში. ცნობარი, როგორც პროექტის საბოლოო შედეგი, მოაზრებულია, როგორც საინფორმაციო მასალა კეთილსინდისიერების ამაღლებისა და კარგი მმართველობის სფეროში, და რომელიც დამხმარე საშუალების სახით გამოყენებული უნდა იქნას დაინტერესებული სახელმწიფოს მიერ თავდაცვისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორში ინსტიტუციური გაუმჯობესებისა და შესაბამისად კეთილსინდისიერების ამაღლებისა და ანტიკორუფციული ღონისძიებების გატარების პროცესში.

გამოცემები კეთილსინდისიერების ამაღლების საკითხებზე

ეს სასწავლო-პრაქტიკული გამოცემა ამჟამად უკვე ხელმისაწვდომია არაბულ ენაზეც ინგლისურ, ფრანგულ, ქართულ, ესპანურ, რუმინულ და უკრაინულ ენებზე გამოცემულ ვერსიებთან ერთად. ნატოს ოპერაციების სამოკავშირეო სარდლობის მიერ ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრთან თანამშრომლობით შემუშავებული წინამდებარე გამოცემა მიზნად ისახავს კორუფციის რისკებისა და მისიის წარმატებაზე მათი ზეგავლენის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, და ნატოსა და შესაბამის ეროვნულ სტრუქტურებში პროფესიონალიზმისა და ეფექტურობის გაზრდას.
https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_176187.htm

კარგი მმართველობის გზამკვლევი

ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრი აგრძელებს კარგი მმართველობის ახალი გზამკვლევის რუმინულ ენაზე თარგმნის პროცესს. ათივე გზამკვლევის სრული სერია რუმინულ ენაზე ხელმისაწვდომი იქნება 2022 წლის ზაფხულში (https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_177396.htm). გთავაზობთ ისარგებლოთ სხვა ენებზე გამოცემული ვერსიებით: ინგლისურ, ფრანგულ, არაბულ, სომხურ, სპარსულ, ქართულ, ავღანურ, რუსულ, ესპანურ და უკრაინულ ენებზე.

ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცნობიერების ამაღლების შესახებ კურსი ახლა უკვე ხელმისაწვდომია რუმინულ ენაზე ნატოს მოწინავე გავრცელებული სწავლების გაერთიანებულ პლატფორმაზე.

2022 წლის აპრილში, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცნობიერების ამაღლების შესახებ კურსი ხელმისაწვდომი გახდა რუმინულ ენაზე. ეს ელექტრონული სწავლების კურსი ხელმისაწვდომია ნატოს მოწინავე გავრცელებული სწავლების გაერთიანებულ პლატფორმის (https://jadl.act.nato.int/) მეშვეობით ADL.336 ფარგლებში, და ასევე ხელმისაწვდომია ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, რუმინულ და რუსულ ენებზე. მომდევნო თვეებში, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრი და სამოკავშირეო სამეთაურო ტრანსფორმაცია ამ კურსს გამოსცემს არაბულ ენაზე. კურსის გავლა სავალდებულოა ნატოს სამოქალაქო და სამხედრო პერსონალისთვის, რომლისთვისაც განკუთვნილია და სპეციალურად შემუშავებული. თითოეული შემთხვევის გათვალისწინებით, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრი ამ კურსს ხელმისაწვდომს გახდის იმ პარტნიორი ქვეყნებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ნატოს თვითშეფასებისა და ექსპერტული შეფასების პროცესში

თავდაცვის სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის შემცირება. კარგი პრაქტიკის კრებული: მეორე გამოცემა

ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრი ამჟამად ,,ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების კარგი პრაქტიკის“ მეორე გამოცემის დასრულების ეტაპზეა. ამ პუბლიკაციის პირველი გამოცემა გამოქვეყნდა 2010 წელს და მას შემდეგ ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების დამხმარე გამოცემას წარმოადგენს. ის ფართოდ გამოიყენება თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლების, ექსპერტებისა და პრაქტიკოსების მიერ, და ხელმისაწვდომია 13 ენაზე. მეორე გამოცემის გამოქვეყნების მიზნით, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრმა 2021 წლის გაზაფხულზე, დააფუძნა სარედაქციო საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრი და მისი წევრები არიან ისეთი საექსპერტო ორგანიზაციების წარმომადგენლები, როგორებიცაა უსაფრთხოების სექტორში მმართველობის ჟენევის ცენტრი, ორგანიზაცია საერთაშორისო გამჭვირვალობა (უსაფრთხოების სექტორში მმართველობის ჟენევის ცენტრი და საერთაშორისო გამჭვირვალობა ორივე მონაწილეობდა პირველი გამოცემის მომზადების პროცესში), ნორვეგიის თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის სექტორში კეთილსინდისიერების ცენტრი და ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების დისციპლინური დეპარტამენტის უფროსი, ისევე, როგორც ნიდერლანდების თავდაცვის სამინისტროს ეთიკისა და კეთილსინდისიერების ორგანიზაცია.

ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების საკითხებთან დაკავშირებული სამომავლო ღონისძიებები

4-8 ივნისი	ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ექპერტ-შემფასებელთა ვიზიტი ამანში, იორდანია
22 ივნისი	ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების სემინარი ერაყის სტრატეგიული სწავლებებისა და კვლევის ცენტრისთვის, ონლაინ ფორმატში და ადგილზე ბაღდადში, ერაყი
27 ივნისი- 1 ივლისი	კეთილსინდისიერების ამაღლება მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების სასწავლო ცენტრისთვის განკუთვნილი მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების კურსის ფარგლებში, სარაევო, ბოსნია და ჰერცოგოვინა
29-30 ივნისი	ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლება - მსუბუქი იარაღისა და მცირე შეიარაღების პროექტის შესრულებასთან დაკავშირებული ვიზიტი, სარაევო, ბოსნია და ჰერცოგოვინა
5-9 სექტემბერი	შიდა აუდიტის ტრენინგი კეთილსინდისიერების ამაღლების საკითხებზე, თბილისი, საქართველო
6-9 სექტემბერი	კეთილსინდისიერების ამაღლების ტრენინგი თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორისთვის, თბილისი, საქართველო
12-16 სექტემბერი	უფროსი უნტერ-ოფიცრებისთვის განკუთვნილი კეთილსინდისიერების ამაღლების ტრენინგი, მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების სასწავლო ცენტრი, სარაევო, ბოსნია და ჰერცოგოვინა
სექტემბერი, დაუდასტურებელი	ტუნისისთვის განკუთვნილი ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ექსპერტ-შემფასებელთა რეკომენდაციების თაობაზე სემინარი, ნატოს შტაბ-ბინა, ბრიუსელი, ბელგია
სექტემბერი, დაუდასტურებელი	ტუნისის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისათვის მეორე სასწავლო ტური თავდაცვის რესურსების მართვის სწავლების რეგიონალურ დეპარტამენტში, ბრასოვი, რუმინეთი
სექტემბერი, დაუდასტურებელი	კეთილსინდისიერების ამაღლების საკითხებზე მაღალი დონის კონფერენცია, ტუნისი, ტუნისი (დასადასტურებელია)
12 ოქტომბერი	ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების დისციპლინის ყოველწლიური კონფერენცია, ნატოს შტაბ-ბინა, ბრიუსელი, ბელგია (შესაბამისი პირობების შესაბამისად ადგილზე ან ონლაინ ფორმატში)
7-11 ნოემბერი	ნატოს თავდაცვის ლიდერობა კეთილსინდისიერების ამაღლების კურსის ფარგლებში, ნატოს სკოლა, ობერამერგაუ, გერმანია
10-11 ნოემბერი	ტუნისის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისათვის მესამე სასწავლო ტური ნატოს სკოლაში, ობერამერგაუ, გერმანია
7-9 დეკემბერი	ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების კონფერენცია, ბრიუსელი, ბელგია
9 დეკემბერი	კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე
12-16 დეკემბერი	ნატოს მრჩეველთა კურსი - პილოტური პროექტი, რომი, იტალია

ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია და ევროკავშირი არიან კეთილსინდისიერების ამაღლების სატრასტო ფონდის მმართველი საბჭოს წევრები.

დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ: ქალბ. ბენედიქტ ბორელს

ნატო-ს ოპერაციათა სამმართველოსთან არსებული თავდაცვის ინსტიტუციური და პოტენციალის აღმშენებლობის დირექტორატის

კეთილსინდისიერების ამაღლების ჯგუფის ლიდერს

ნატო-ს შტაბ-ბინა, ბრიუსელი

იმეილი: borel.benedicte@hq.nato.int

დამატებითი ინფორმაციისთვის ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესის თაობაზე გთხოვთ ეწვიოთ შემდეგ ვებ-საიტებს:

https://buildingintegrity.hq.nato.int/

NATO Building Integrity

იმეილი: building-integrity@hq.nato.int

1066-21 NATO GRAPHICS & PRINTING